განკარგულება:**g-81. 81232493**
თარიღი:**06/09/2023**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №38

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქ. ცაგერში რუსთაველის ქუჩა N39-ში (ს/კ 89.03.24.255) მდებარე 24.00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.დ'' ქვეპუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების ,სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის ,საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 34-ე მუხლის და სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის ავთანდილ ბურჯალიანის და შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის სერტიფიკაციის ორგანოს სსტ ისო/იეკ 17024;2012/2014 GAC-PC-0010 შესაბამისობის სერთიფიკატის N A-0922 და P-0527 უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზაციო ღირებულების განსაზღვრის შესახებ დასკვნის საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქ. ცაგერში რუსთაველის ქუჩა N39-ში (ს/კ 89.03.24.255) მდებარე 24.00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზაციო საფასური განისაზღვროს 1300 ლარის ოდენობით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი